ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲝᲡᲘ
AKADEMOS

ქ. თბილისი

30 დეკემბერი 2021წ.

ბრძანება N2-105-21

შპს ,,აკადემოსის'' სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესის დამტკიცების შესახებ

შპს ,,აკადემოსის დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შპს ,,აკადემოსის'' სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. ახალი წესის ძალაში შესვლისთანავე მოქმედი წესი გამოცხადდეს ძალადაკარგულად.
4. ბრძანება ძალაში შედის 2022 წლის 01 იანვრიდან;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

შპს ,,აკადემოსის''
დირექტორი /თამარ ჩანტლაძე/

დამტკიცებულია
შპს ,,აკადემოსის''
დირექტორის მიერ 2021 წლის 30 დეკემბრის N 2-105-21 ბრძანებით

შპს „აკადემოსის"
სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი

თბილისი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1) შპს ,,აკადემოსის" (შემდგომში: „სკოლა") მოქმედი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. სკოლაში ჰიგიენის დაცვის წესსა და პროცედურებს. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლაში ჰიგიენის დაცვის წესები, ასევე, პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და გასახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით შეუნარჩუნოთ ადამიანს ჯანმრთელობა.

მუხლი 2. სამედიცინო დახმარების კაბინეტი

1) სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი.

2) სამედიცინო დახმარების კაბინეტის მოწყობისას გათვალისწინებული იყო ყველა არსებული ნორმატიული აქტი და შესაბამისი ორგანოების რეკომენდაციები;

3) სკოლა იღებს ვალდებულებას იზრუნოს სამედიცინო დახმარების კაბინეტის მუდმივ გაუმჯობესება და ნორმატიულ აქტების ცვლილების შემთხვევაში მათთან შესაბამისობაში მოყვანაზე;

4) ინფრასტრუქტურის მხრივ კაბინეტში არის საკმარისი სივრცე პირთა მისაღებად და საჭირო ინვენტარის გამოსაყენებლად. კაბინეტი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. კაბინეტი შესაძლებელია განიავდეს ბუნებრივი ვინტილაციის გზით.

5) კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ყველა ინვენტარით. ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდება მათი ახლით ჩანაცვლება;

6) სამედიცინო დახმარების კაბინეტში მდებარე მაცივარსა და კარადაში განლაგებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ.

მუხლი 3. ადამიანური რესურსი

სამედიცინო დახმარების გასაწევად, სკოლა ხელშეკრულებას დებს შესაბამის შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე პირთან. ამჟამად სკოლაში დასაქმებულია ექიმი.

მუხლი 4. გაუთვალისწინებელი, უბედური შემთხვევების დადგომის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1) გაუთვალისწინებელი, უბედური შემთხვევების დადგომის დროს პირმა:

ა) მიმართოს პირველად სამედიცინო დახმარებაზე უფლებამოსილ პირს (ტელეფონზე დარეკვით);

ბ) დროულად უნდა შეატყობინოს ადმინისტრაციას აღნიშნული ფაქტის შესახებ;

გ) არ გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება (გარდა იმ შემთხვევისა თუ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია), არ გადაადგილოს დაზარალებული (გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნული ემსახურება მისი სიცოცხლის გადარჩენას);

დ) დარჩეს დაზარალებულთან, სანამ ექიმი მოვა;

ე) აუცილებლობის შემთხვევაში დაუკავშირდეს 112-ს.

2. დანართი N1 სახით თან ერთვის პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები.

მუხლი 5. სკოლის ექიმის ვალდებულებები

1. სკოლის ექიმი ვალდებულია:

ა) საჭიროების შემთხვევაში, პირველადი დახმარება გაუწიოს სკოლაში მყოფ ნებისმიერ პირს: დასაქმებულს, მოსწავლეს და სხვა. პირველადი დახმარების გაწევა ხდება - ტრავმის, დამწვრობის, ასპირაციის, მოტეხილობის, ჭრილობის, რესპირაციული დისტრესიის, შოკის, კომის, კრუნჩხვის, ცხელების, ფსიქიკური დარღვევების, ტკივილის და სხვათა დროს;

ბ) მშობელთან კონსულტაციის საფუძველზე, წინასწარ შეაფასოს პაციენტებში ალერგიული რეაქციის განვითარების რისკი;

გ) შეკრიბოს მონაცემები მოსწავლეთა და დასაქმებულთა ჯანმრთელობის შესახებ, დააკვირდეს და გაანალიზოს სკოლაში არსებული ავადობის შემთხვევები და შეიმუშაოს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები;

დ) სკოლაში ინფექციის გამოვლენის ან გავრცელების შემთხვევაში განახორციელოს აუცილებელი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება დაავადების კერის ლიკვიდაციის მიზნით; ამავდროულად, ხელი შეუწყოს ქრონიკული დაავადებების (მაგალითად, სქოლიოზი, მხედველობის დარღვევები) და სასკოლო ტრავმატიზმის პრევენციას;

ე) აწარმოოს შესაბამისი სარეგისტრაციო ჟურნალი;

ვ) წარუდგინოს სკოლის ადმინისტრაციას, სამედიცინო დახმარების მოსამხურების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი წინადადებები;

ზ) დროულად აცნობოს ადმინისტრაციას სამუშაო პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების/პრობლემების შესახებ;

თ) მოსწავლის დაზიანების შემთხვევაში დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს მის დამრიგებელს დაზიანების ტიპის, ხარისხისა და სხვა ინფორმაციის შესახებ;

ი) საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდეს 112-ს და უზრუნველყოს ავადმყოფის შესაბამის დაწესებულებაში გადაყვანაზე კონტროლი;

კ) უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე, მათ შორის კვების ბლოკში სანიტარულ-ჰიგიენური დაცვაზე მონიტორინგი;

ლ) შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად დაგეგმოს და განახორციელოს ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები;

მ) პერიოდულად მონიტორინგი გაუწიოს კლასში მოსწავლეთა ჰიგიენური მდგომარეობას, დაგეგმოს და გაატაროს პირადი ჰიგიენისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები და აქტივობები.

ნ) შეასრულოს სხვა ისეთი საქმიანობა რაც არ არის გაწერილი წინამდებარე დოკუმენტში, თუმცა თავისთავად გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან და საექიმო საქმიანობიდან.

მუხლი 6. პაციენტის უფლებები

1. პაციენტს, ხოლო მისი თანხმობის ან მცირეწლოვანების შემთხვევაში – პაციენტის ნათესავს და კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ:

   ა) გაეცნონ სამედიცინო ჩანაწერებს და მოითხოვონ პაციენტის შესახებ არსებულ ინფორმაციაში შესწორების შეტანა; სამედიცინო ჩანაწერებში ინახება როგორც შესწორებამდე არსებული, ისე პაციენტის, მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ახალი ინფორმაცია;

   ბ) მოითხოვონ სამედიცინო ჩანაწერების ნებისმიერი ნაწილის ასლი.

2. პაციენტს შეიძლება არ მიეწოდოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან ამ ინფორმაციის მოცულობა შეიზღუდოს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ სრული ინფორმაციის მიღება პაციენტის ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს მიაყენებს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაცია მიეწოდება მის მშობელს. მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია არ მიეწოდება, თუ ინფორმაციის მიწოდების წინააღმდეგია არასრულწლოვანი პაციენტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმედუნარიანად ითვლება.

3. პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაცია მიეწოდებათ მათი აღქმის უნარის გათვალისწინებით. განმარტების მიცემისას სპეციალური ტერმინები მინიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

4. მოსწავლისათვის გარკვეული სახის მედიკამენტების მიცემამდე ექიმი კონსულტაციას გაივლის პაციენტის კანონიერ წარმომადგენელთან.

5. 16 წელზე მეტი ასაკის არასრულწლოვან პაციენტს, რომელიც, სამედიცინო მომსახურების გამწევის შეხედულებით, სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას, უფლება აქვს, ინფორმირებული თანხმობა ან უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურების გაწევაზე. პაციენტის ამ გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს.

6. არასრულწლოვან პაციენტს აქვს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება (გარდა ამ მუხლის მეორე პუქნტისა). მიწოდებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მის ასაკსა და გონებრივი განვითარების დონეს.

7. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა კონფიდენციალურია და მისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნება დაუშვებელია.

მუხლი 7. აღჭურვილობის უსაფრთხოება

1. ექიმის კაბინეტის აღჭურვილობამ არ უნდა შეაფერხოს ექიმის მიერ პაციენტის მიღება/გასინჯვის/მკურნალობის პროცედურა;

2. ექიმის კაბინეტში არსებული აღჭურვილობა უნდა იყოს ისეთი ნივთიერებებისგან დამზადებული, რომელიც ადვილად დეზინფიცირდება;

3. ქიმიური საშუალებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა ინახებოდეს განცალკევებით სპეციალური ორიგინალი მონიშვნის (შეფუთვის) გამოყენებით;

4. ექიმის კაბინეტის დალაგება-დასუფთავება უნდა ხდებოდეს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით;

5. დაუშვებელია დასუფთავების დროს ნივთიერებების გადაადგილება.

მუხლი 8. წესის მიღება და მასში ცვლილების შეტანა

1. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
2. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.

დანართი N1

პირველადი დახმარების პროტოკოლი

1.გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის გამოძახება.

- ძალიან მნიშვნელოვანია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დროული გამოძახება: **დარეკეთ ნომერზე: 112;**
- თუ გყავთ დამხმარე - დროულად გააგზავნეთ ის სამედიცინო სამსახურის გამოსაძახებლად.

2. პირველი დახმარება გულის წასვლის დროს:

- დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და ქვედა კიდურები განალაგეთ ვერტიკალურად.
- უზრუნველყავით სუფთა ჰაერის მიწოდება;
- მას შემდეგ, რაც დაზარალებულს დაუბრუნდება ცნობიერება, გაამხნევეთ და დაეხმარეთ მას ნელ-ნელა წამოჯდომაში;

- გულმოდგინედ ჩაატარეთ განმეორებითი დათვალიერება, რადგან შესაძლებელია დაცემისას დაზარალებულს მიეღო ტრავმა, გაუწიეთ პირველი დახმარება დაზიანების შესაბამისად.
- თუ დაზარალებულს სწრაფად არ უბრუნდება ცნობიერება, გახსენით სასუნთქი გზები, შეამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები. საჭიროების შემთხვევაში მზად იყავით სარეანიმაციო ღონისძიებების ჩასატარებლად.
- თუ გონზე მოსვლის შემდეგ დაზარალებული კვლავ ცუდად გრძნობს თავს, ურჩიეთ მას დაწვეს ზურგზე და აუწიეთ ფეხები, სანამ ზოგადი მდგომარეობა ბოლომდე არ გაუმჯობესდება.

3. ხელოვნური სუნთქვის ჩატარების ტექნიკა

- ჩაბერეთ დაზარალებულს პირში 5 წამში ერთხელ. ყოველი ჩაბერვის შემდეგ მოაშორეთ ტუჩები დაზარალებულის პირს და შემდეგ ჩაბერვამდე დაელოდეთ გულმკერდის კედელი დაუბრუნდეს საწყის მდებარეობას;
- ყოველი 10 ჩაბერვის შემდეგ კვლავ გადაამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები; თუ ცირკულაციის ნიშნები არ არის, ეს ნიშნავს რომ გული გაჩერებულია და თქვენ სწრაფად უნდა დაიწყოთ გულის არაპირდაპირი მასაჟი:



- დადექით მუხლებზე დაზარალებულის გულმკერდის გასწვრივ. მოძებნეთ დაზარალებულის დვრილების შემაერთებელი ხაზის შუა წერტილი. ამ წერტილის ქვევით ვათავსებთ ერთ ხელს,ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი; ეს არის ის ადგილი, რომელზეც თქვენ უნდა მოახდინოთ ზეწოლა;
- დაადეთ მტევანი ზემოდან მეორე ხელს, შეჭიდეთ თითები და ასწიეთ ზემოთ ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი;
- გაშალეთ ხელები იდაყვის სახსარში ისე, რომ თქვენს ხელებსა და გულმკერდის წინა კედელს შორის იყოს სწორი კუთხე. მოახდინეთ ზეწოლა მკერდის ძვალზე ისე, რომ ზეწოლის სიღრმე არ აღემატებოდეს 4-5 სმ-ს. ზეწოლის შემდეგ, ხელების მოუშორებლად მიეცით მკერდის ძვალს საწყის მდებარეობაში დაბრუნების საშუალება. ზეწოლისას ითვალეთ: “ერთი, ორი, სამი, ოთხი 15-მდე” ისე რომ 1 წუთში გამოვიდეს 100 ზეწოლა მკერდის ძვალზე.

4. თუ თქვენ მარტო ხართ:

მოახდინეთ 15 ზეწოლა. ამის შემდეგ თქვენ უნდა:

- დაიწყოთ ხელოვნური სუნთქვა. ამისათვის გახსენით სასუნთქი გზები და გააკეთეთ 2 ჩაბერვა.
- გააგრძელეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია შეფარდებით 15 ზეწოლა მკერდის ძვალზე/ 2 ჩაბერვა,სანამ: არ აღდგება სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები; არ მოვა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ან დამხმარე, რომელმაც იცის გულ-ფილტვის რეანიმაციის ტექნიკა; ფიზიკურად არ გადაიღლებით.
- ყოველ 1 წუთში ანუ 4 ციკლის ჩატარების შემდეგ თქვენ უნდა შეწყვიტოთ გულ-ფილტვის რეანიმაცია და გადაამოწმოთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები;
- თუ თქვენ გყავთ დამხმარე ერთ-ერთი აკეთებს გულის არაპირდაპირ მასაჟს, ხოლო მეორე ხელოვნურ სუნთქვას. ამ შემთხევვაშიც გულ-ფილტვის რეანიმაცია ტარდება შეფარდებით: 15 ზეწოლა მკერდის ძვალზე / 2 ჩაბერვა. ასეთ შემთხვევაშიც 1 წუთის შემდეგ შეწყვიტეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია ცირკულაციის ნიშნებისა და სუნთქვის შემოწმების მიზნით.

დანართი N2

სკოლის ექიმის საქმიანობის მიზანია მოსწავლეებისათვის და სკოლაში დასაქმებულ პირთათვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოსწავლეებში ჯანმრთელობის საფრთხის დადგომის შემთხვევაში დროული და ეფექტური რეაგირება, დაავადებათა გავრცელების პრევენცია და მართვა.

სკოლის ექიმი უზრუნველყოფს:

- პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას (სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ადგილზე მისვლამდე);
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის/უზრუნველყოფის აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;
- ჯანმრთელობის შესაძლო საფრთხეებზე ადეკვატური რეაგირება;
- მშობლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინფორმირება ჯანმრთელობის დაცვასა და დაავადებების პრევენციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;
- სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზრუნვა.

სკოლის ექიმის სარეკომენდაციო ფუნქციები და ვალდებულებები:

1. მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და მშობლების ინფორმირება/რეკომენდაციის გაცემა;
2. იმუნიზაციის შესაბამისი ღონისძიებების ხელშეწყობა;
3. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი განვითარების დარღვევების გამოვლენის შემდგომი რეაგირების ხელსეწყობა და მონიტორინგი;
4. ბავშვებსა და მოზარდებში ისეთი სიმპტომებისა და სინდრომების გამოვლენა, რომლებიც მოითხოვს პირველად და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას;
5. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მოსვლამდე პირველადი და გადაუდებელი დახმარების გაწევა ტრავმის, დამწვრობის, ასპირაციის, მოტეხილობის, ჭრილობის, რესპირაციული დისტრესის, შოკის, კომის, კრუნჩხვის, ცხელების, ფსიქიკური დარღვევების, ტკივილის და სხვათა დროს;
6. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის დროული გამოძახება (საჭიროების შემთხვევაში);

7. მოსწავლეთა შესახებ სკოლაში წარმოდგენილი სპეციალური სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება და შესაბამისი ინფორმაციის შეტანა კომპიუტერში;
8. ქრონიკული დაავადებების (მაგალითად, სქოლიოზი, მხედველობის დარღვევები და სხვა) გამოვლენის შემთხვევაში ექიმის მიერ დასმული დიაგნოზის შესაბამისი რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;
9. ინფექციური დაავადებების პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა და მათი განხორციელების ხელშეწყობა;
10. სკოლაში შემსვლელთა და მოსწავლეთა აცრების კალენდრის შესწავლა და მშობლის/მეურვის ინფორმირების საშუალებით იმუნიზაციის პროგრამებში მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა, მათთვის რეკომენდაციების მიცემა;

11. ახდენს მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის კომპიუტერში შეტანას;
12. გეგმიური და ეპიდსაწინააღმდეგო სანიტარიულ-ჰიგიენური და პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვა და მათი განხორციელების ხელშეწყობა;
13. სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველობა;
14. სასკოლო კვების სტანდარტთან გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;
15. მოსწავლეთა, სკოლის პერსონალის და მშობელთა/მეურვის სამედიცინო-პროფილაქტიკური განათლება (ჰიგიენის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის და სხვ. შესახებ მოსწავლეებთან საუბარს ექიმი აწარმოებს როგორც სადამრიგებლო საათის ფარგლებში, ისე ინდივიდუალურად);
16. ბავშვებზე ძალადობის ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში სათანადო სტრუქტურების ინფორმირება;
17. სკოლის დღის რეჟიმის შედგენაში მონაწილეობა;
18. მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, სკოლის დირექციისა და დამრიგებლისათვის რეკომენდაციის მიცემა მოსწავლის საგაკვეთილო პროცესიდან დროებით გათავისუფლების შესახებ.

სკოლის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა

1. **საოფისე მაგიდა;**
2. **საოფისე კარადა;**
3. **საოფისე სკამი;**
4. **კომპიუტერი;**
5. **პაციენტის გასასინჯი ტახტი;**
6. **სამანიპულაციო მაგიდა;**
7. **კარადა მედიკამენტების/ინსტრუმენტების;**
8. **სიმაღლის საზომი;**

9. სანტიმეტრი;
10. სასწორი;
11. თერმომეტრი (სამედიცინო);
12. დინამომეტრი;
13. სფიგმომანომეტრი/ტონომეტრი;
14. სტეტოსკოპი;
15. გლუკომეტრი;
16. ინჰალატორი;
17. გამადიდებელი ლუპა;
18. რეზინის ლახტი;
19. რეზინის სათბური;
20. ყინულის ბუშტი;
21. სამედიცინო მაკრატელი;
22. პინცეტი;

23. „პირით-პირში“ სუნთქვის საშუალება;
24. საკაცე;
25. მაცივარი;
26. ფიქსატორი (მოტეხილობისთვის).

მედიკამენტები, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები და სხვა რესურსი

1. არანარკოტიკული, ტკივილგამაყუჩებელი და არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები (მაგალითად: პარაცეტამოლი);
2. ცენტრალური მოქმედების ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები (მაგალითად: კეტოროლაკი);
3. ვალიდოლი (აბები), ვალერიანი (წვეთები);
4. თვალის წვეთები - ალბუციდის 20 და 30% -იანი ხსნარები;
5. ნიშადურის სპირტი (ამიაკის 10%-იანი ხსნარი);
6. ნო-შპა (აბები);
7. იმოდიუმი (კაფსულები);
8. ანტიბიოტიკის შემცველი მალამო (მაგალითად: ლევომიკოლი, სინტომიცინი);
9. ანტიჰისტამინური საშუალებები (მაგალითად: სუპრასტინი ამპულები და აბები, დიაზოლინი აბები, კეტოტიფენი აბები);
10. გლუკოკორტიკოიდები და მინერალკორტიკოიდები (მაგალითად: დექსამეტაზონი);
11. თვალის ამოსარეცხი ხსნარი;
12. სამედიცინო სპირტი (96%-იანი);
13. წყალბადის ზეჟანგი (3% ხსნარი);

14. ბრილიანტის მწვანე (1%-იანი ან 2%-იანი სპირტხსნარი);
15. იოდი (5%-იანი სპირტხსნარი);
16. სხვადასხვა ზომის სტერილური საფენები;
17. ბაქტერიოციდული პლასტირები ჭრილობებისთვის;
18. ჰიგროსკოპული ბამბა;
19. ბინტები, ლეიკოპლასტირი, ნიღაბი /სამედიცინო გადასახვევი მასალა;
20. ერთჯერადი საინექციო შპრიცები;
21. ერთჯერადი შპადელები;
22. ერთჯერადი ხელთათმანები (არასტერილური)

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურა



მოსწავლის შემთხვევაში მშობელი/მეურვე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ს ასწრაფოსთან შეთანხმებით ჰოსპიტალიზაციაზე, დაელოდეთ მის მოსვლას.

თანამშრომლის შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია თანამშრომელთან/ოჯახის წევრთან შეთანხმებით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ჰოსპიტალიზაციაზე.

დანართი 3

სანიტარული კვანძის დალაგებასთან დაკავშირებული პასუხიმგებლობები:

სანიტარული კვანძის საკონტროლო ფურცელს აწარმოებს დამლაგებელი

1. საპირფარეშოს სისუფთავეზე პასუხისმგებელია კონკრეტულ ზონაზე მიმაგრებული დამლაგებელი;
2. მის საქმიანობაზე მონიტორინგს ახორციელებს დისახლისი ან დირექტორის მიერ გამოყოფილი პირი;
3. სისუფთავეზე პასუხისმგებელმა პირმა სამუშაოს დაწყებამდე და შემდგომშიც უნდა გაიაროს სწავლება დალაგების წესების შესახებ;
4. სწავლებაში მონაწილეობის მიღების ორგანიზებაზე პასუხისმგებელია დიასახლისი ან დირექტორის მიერ გამოყოფილი პირი;
5. დალაგების წესების შემუშავებაზე პასუხისმგებელია სკოლის ექიმი;
6. პროცესის შესრულების დოკუმენტირება უნდა მოხდეს დალაგების აღრიცხვის ფურცელზე, რომელიც მოთავსებულია საპირფარეშოს კედელზე;
7. დალაგების აღრიცხვის ფურცელის განთავსებაზე პასუხიმგებელია პროცესის შემსრულებელი პირი, ხოლო უზრუნველყოფაზე პროცესზე ზედამხედველი;
8. პროცესის შერულების და დოკუმენტირების შემოწმებას დღეში ორჯერ ხელმოწერით ადასტურებს ამ პროცესის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი, აქვე უთითებს შემოწმების რიცხვს;
9. შევსებული საპირფარეშოს დასუფთავების ზედამხედველობის ფორმა მიეწოდება და ინახება პროცესზე ზედამხედველობის განმხორციელებელ პირთან;
10. საპირფარეშოს დასუფთავების ზედამხედველობის ფორმების შევსების სისწორეს და ანალიზს აწარმოებს პროცესის ზედამხედველობის განმხორციელებელი პირი. ის აღნუსხავს პრობლემებს და აცნობებს ამის შესახებ შესაბამის პასუხისმგებელ პირს;
11. საპნით, სხვადასხვა დანიშნულების ქაღალდებით უზრუნველყოფა ხორციელდება დასუფთვების შემსრულებელი ან დირექტორის მიერ გამოყოფილი პირის მიერ;
12. დალაგების ჯერადობაა საათში ერთხელ სასწავლო პროცესის მსვლელობის პერიოდში;
13. დასასუფთავებელი ინვენტარის უზრუნველყოფაზე და გაცემაზე პასუხისმგებელია დიასახლისი ან გამოყოფილი პირი;
14. სკოლის ექიმი პერიოდულად აფასებს საპირფარეშოს სისუფთავის მდგომარეობას, რასაც ადასტურებს შესაბამის მონიტორინგის ფორმაში.

სკოლის სანიტარული კვანძის დასუფთავების წესები

მიზანი:

სუფთა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

პასუხისმგებლობები:

1. სკოლის საპირფარეშოს სისუფთავეზე პასუხისმგებელია კონკრეტულ ზონაზე მიმაგრებული დამლაგებელი;
2. მის საქმიანობაზე მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ექიმი ან ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი სხვა პირი;
3. სისუფთავეზე პასუხისმგებელმა პირმა სამუშაოს დაწყებამდე და შემდგომშიც უნდა გაიაროს სწავლება დალაგების წესების შესახებ;
4. პროცესის შესრულების დოკუმენტირება უნდა მოხდეს დალაგების აღრიცხვის ფურცელზე, რომელიც მოთავსებულია საპირფარეშოს კედელზე;
5. პროცესის შერულების და დოკუმენტირების შემოწმებას დღეში ორჯერ ხელმოწერით ადასტურებს ამ პროცესის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი, აქვე უთითებს შემოწმების რიცხვს;
6. დასასუფთავებელი ინვენტარით უზრუნველყოფაზე და გაცემაზე პასუხისმგებელია გამოყოფილი პირი ან ადმინისტრაცია.

სისუფთავის სტანდარტი:

1. სუფთა ხელსაბანი;
2. სუფთა სარკე;
3. სუფთა უნიტაზი;
4. სუფთა ზედაპირები;
5. ქაღალდის ხელსაწმენდების დისპენსერი და საპნის დოზატორი შევსებულია;
6. ურნები არ არის გადავსებული, ჩაფენილია პოლიეთილენის პარკი.

დასალაგებელი ინვენტარი:

- ფერით კოდირებული ტილოები და სათლები;
- ფერით კოდირებული ხელთათმანები, ერთჯერადი ხელთათმანები;
- საწმენდი/სადეზინფექციო საშუალებები, ფერით კოდირებული რეზერვუარები ხსნარისთვის;
- ქაღალდები და თხევადი საპონი მარაგის შესავსებად;
- ერთჯერადი პარკები ნაგვის ურნებში ჩასაფენად;

- ჯაგრისი უნიტაზისთვის;
- გამაფრთხილებელი ნიშნები;
- ინდივიდუალური დაცვის საშულებები - მრავალჯერადი ფერით კოდირებული და ერთჯერადი ხელთათმანები, ტენგამძლე წინსაფარი, სახის ფარი;
- ჰაერის აეროზოლები.

დამსუფთავებელმა უნდა დაიცვას უსაფრთხოების ძირითადი წესები:

- სწორად გამოიყენოს ფერით კოდირებული დასალაგებელი ინვენტარი და პერსონალური დამცავი საშუალებები;
- აღჭურვილობა გამოიყენოს ინსტრუქციის შესაბამისად;
- დასუფთავებისას გამოიყენოს ბარიერები და ნიშნულები;
- დაიცვას ხელის ჰიგიენის წესები.

ზოგადი ღონისძიებები:

1. დასასუფთავებელ უბანზე განათავსეთ გამაფრთხილებელი ნიშნები;
2. დაიბანეთ ხელები და ჩაიცვით ხელთათმანები;
3. გაანიავეთ საპირფარეშო თუ ეს შესაძლებელია (მაგ: გააღეთ ფანჯარა);
4. დაამზადეთ საწმენდი ხსნარი.

პროცედურა - უნიტაზების დასუფთავება

1. ჩარეცხეთ უნიტაზი;
2. ჩაასხით სარეცხი/სადეზინფექციო საშუალება უნიტაზში;
3. უნიტაზის ფსკერი გაწმინდეთ ჯაგრისით, ჯაგრისით კედლებიდან მოაცილეთ ჭუჭყი;
4. სპეციალური ტილოთი გაწმინდეთ და გაამშრალეთ ტუალეტის ქაღალდის დამჭერი, მილები, საკიდები. ხშირად გარეცხეთ ჩვარი სარეცხ ხსნარში. შეცვალეთ სარეცხი ხსნარი როცა ის გაჭუჭყიანდება;
5. დაასველეთ უნიტაზის ზედაპირების საწმენდი სპეციალური ტილო სარეცხ ხსნარში და კარგად გაწურეთ. დასუფთავება დაიწყეთ უნიტაზის ყველაზე მაღალი ადგილიდან და ქვემოთ, გარედან შიგნით, შედარებით სუფთადან ჭუჭყიანისკენ. ბოლოს უნიტაზის თავსახური, უნიტაზი გარედან;
6. ჩარეცხეთ უნიტაზი ჩოთქით გაწმენდილი ნალექის ჩასარეცხად. კიდევ ერთხელ გაწმინდეთ ჯაგრისით;
7. წყლის ჩასარეცხი გაწმინდეთ ჩვრით, შემდეგ დაახურეთ თავსახური;
8. გაიხადეთ ხელთათმანი, დაიბანეთ ხელი, ჩაიცვით ახალი ხელთათმანი;
9. შეამოწმეთ და შეავსეთ ტუალეტის ქაღალდი;
10. სამუშაოს დასრულების შემდეგ ერთჯერადი ჩვრები გადაყარეთ, ხოლო მრავლაჯერადი გარეცხეთ და მოახდინეთ დეზინფექცია ფერით კოდირების მიხედვით ცალ-ცალკე კონტეინერში;

11. გამოყენების შემდეგ დასასუფთავებელი ინვენტარი უნდა შემოწმდეს დაზიანების არსებობაზე, გასუფთავდეს, გაშრეს და დაბრუნდეს შესანახ ზონაში;
12. გაიხადეთ ხელთათმანები და დაიბანეთ ხელები.

პროცედურა - ხელსაბანის დასუფთავება:

1. გაანთავისუფლეთ ხელსაბანი ყველა ნივთისაგან;
2. დაასველეთ ჩვარი სარეცხ ხსნარში;
3. გაწმინდეთ ზედაპირები ხელსაბანის გარშემო, მათ შორის ფილები, ქაღალდის ხელსახოცის დისპენსერი, საპნის დოზატორი, ონკანი;
4. გაწმინდეთ ხელსაბანი გარედან შიგნით;
5. გაწმინდეთ ხელსაბანის შიგნითა მხარე;
6. გამდინარე წყლით გაავლეთ მთლიანი ხელსაბანი.

პროცედურა - მინის ზედაპირების გაწმენდა

მინის ზედაპირების წმენდისას გამოიყენეთ სპეციალური საშუალებები, უშუალოდ მოათავსეთ მინაზე და გაწმინდეთ ქსოვილით ან ქაღალდის პირსახოცით. მოაცილეთ თითის ანაბეჭდები, მტვერი და ლაქები.

პროცედურა - ქაღალდის ხელსახოცების დამატება და საპნის შევსება

1. დაიბანეთ ხელები და ჩაიცვით ხელთათმანები;
2. დარწმუნდით, რომ გაქვთ საჭირო ზომის და ტიპის ქაღალდი შესავსებად;
3. ჩატვირთვის შემდეგ დაახურეთ და დაამაგრეთ თავსახური;
4. თუ საპონი დასამატებელია, გახსენით დოზატორი და გაანთავისუფლეთ დანარჩენი შიგთავსისგან;
5. თუ შესაძლებელია, მოხსენით დოზატორი და გარეცხეთ გამდინარე წყლის ქვეშ, გაასუფთავეთ ლაქებისაგან;
6. დოზატორი შეავსეთ საპონით და დახურეთ;
7. ხელთათმანები გადაყარეთ და ხელები დაიბანეთ.

პროცედურა - სხვა ზედაპირების დასუფთავება

1. კედლები გაწმინდეთ სარეცხ ხსნარში დასველებული ჩვრით ;
2. თუ კედლის ზედა ზონებიცაა დაბინძურებული, მაშინ გაწმინდეთ მთელი კედელი;
3. გაწმინდეთ კარების სახელურები და ყველა ჩასართველი.

პროცედურა - სანაგვე ყუთების დასუფთავება

1. ფრთხილად მოაგროვეთ ყუთის გარშემო დაყრილი ნაგავი;

2. თუ ურნაში შენიშნეთ სახიფათო ნარჩენი, აცნობეთ ხელმძღვანელს;
3. სანაგვე პარკს მოუკარით თავი და ამოიღეთ ურნიდან ისე, რომ არ შეგეხოთ სხეულზე;
4. ჩვარი დაასველეთ სადეზინფექციო ხსნარში და გაასუფთავეთ ურნის ზედაპირები;
5. ჩააფინეთ ახალი პოლიეთილენის პარკი.

პროცედურა -იატაკის დასუფთავება სველი ჩვრით

1. სათლში მოამზადეთ სარეცხი ხსნარი;
2. დააასველეთ იატაკის საწმენდი ტილო(მოპი), გაწურეთ და დაასუფთავეთ იატაკი სანიტარული კვანძის მთელ პერიმეტრზე, კუთხეების და ძნელად მისაწვდომი ადგილების ჩათვლით;
3. დასუფთავება გააგრძელეთ მანამ, სანამ იატაკის ზედაპირი არ გახდება სუფთა.

უსაფრთხოების ზომები:

1. დასუფთავებისას გამოიყენეთ გამაფრთხილებელი ნიშნები;
2. ყოველთვის გამოიყენეთ აღჭურვილობა ფერით კოდირების მიხედვით;
3. არასდროს არ შეურიოთ სხვადასხვა საწმენდი საშუალება, რადგან წარმოქმნილი ნარევი შეიძლება აალდეს;
4. ქაღალდის ხელსახოცები, რომლითაც უნდა შეავსოთ მარაგი, არასდროს არ დადოთ იატაკზე ან თაროზე;
5. დასალაგებელი აღჭურვილობა სუფთა, მშრალ მდგომარეობაში უნდა შეინახოთ შესაბამის სათავსოში;
6. დასუფთავების დროს სუფთა ჩვარი რეგულარულად დაასველეთ სარეცხი საშუალებებით;
7. გადაყარეთ ერთჯერადი ჩვრები, რომელსაც იყენებდით დასუფთავების დროს;
8. მიაწოდეთ ხელმძღვანელს ინფორმაცია აღჭურვილობის დაზიანების ან მარაგის ამოწურვის შესახებ;
9. დაზიანებული კანი დაიფარეთ პლასტირით.

დანართი N4

საპირფარეშოს სისუფთავის კონტროლის ფურცელი

საპირფარეშოს მდებარეობა													
ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი												შემსრულებელი ხელმოწერა	პასუხისმგებელი ხელმოწერა
რიცხვი/თვე/წელი----------	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19		
დასუფთვება													
ქაღალდი													
ხელსახოცები													
საპონი													
აეროზოლი													
ურნა													
რიცხვი/თვე/წელი----------	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	ხელმოწერა	ხელმოწერა
დასუფთვება													
ქაღალდი													
ხელსახოცები													
საპონი													
აეროზოლი													
ურნა													
რიცხვი/თვე/წელი----------	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	ხელმოწერა	ხელმოწერა
დასუფთვება													
ქაღალდი													
ხელსახოცები													

საპონი													
აეროზოლი													
ურნა													
რიცხვი/თვე/წელი----------	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	ხელმოწერა	ხელმოწერა
დასუფთვება													
ქაღალდი													
ხელსახოცები													
საპონი													
აეროზოლი													
ურნა													
რიცხვი/თვე/წელი----------	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	ხელმოწერა	ხელმოწერა
დასუფთვება													
ქაღალდი													
ხელსახოცები													
საპონი													
ურნა													
აღნიშვნების განმარტება:	(1) დაგეგმილი ქმედება, (+) დამატებითი ქმედება, (-)საჭირო ქმედების შეუსრულებლობა. ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი აღნიშნავს შემოწმების დროს.												

მოცემულ საკონტროლო ფურცელს აწარმოებს დამლაგებელი და მასზე ზედამხედველობას აწარმოებს ---------- და ექიმი.

დანართი N5

სასკოლო კვების ობიექტის (ბუფეტის) კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან
შესაბამისობის შეფასების აქტი № --------

1.	ინსპექტირების ჩატარების თარიღი და დრო	
2.	შემოწმებაზე უფლებამოსილი პირის/პირების სახელი, გვარი, თანამდებობა	

2.	ინსპექტირების ტიპი	
2.1	გეგმიური	
2.2	არაგეგმიური (მიუთითეთ საფუძველი)	

3	**მოთხოვნები სასკოლო კვების ობიექტის (ბუფეტის) მიმართ**	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
3.1	დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები				
3.2	უზრუნველყოფილია სურსათის/საკვების სათანადო ტემპერატურით შენახვის პირობები				
3.3	დაცულია თუ არა სურსათის შენახვის და ვარგისიანობის ვადები				
3.4	პერსონალი იყენებს თუ არა დამცავ ტანისამოსს (მაგ.:თავსაბურავებს, ხელთათმანს, წინსაფარს და სხვა დამცავ ტანისამოსს, პირბადეს)				
3.5	პერსონალი იყენებს თუ არა ჰიგიენურ საშუალებებს (თხევადი საპონი, ქაღალდის ხელსახოცი) და ა.შ				
3.6	ბუფეტი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (ჭურჭლის საწრეტი, ნაგვის ურნა და ა.შ)				
3.7	არის თუ არა დაცული სამზარეულო მწერებისაგან (მაგ. მწერებისგან დამცავი ფარდა)				
3.8	შეუფუთავი სურსათის მიწოდებისას იყენებს თუ არა რეცხვად/დეზინფექცირებად ინვენტარს (ჩამჩა, კოვზი, ჩანგალი და ა.შ)				
3.9	შეუფუთავი სურსათის შესანახად იყენებს თუ არა რეცხვად/დეზინფექცირებად მჭიდრო თავსახურიან კონტეინერს				

3.10	დროულად ხდება თუ არა საკვები პროდუქტების შეძენა, მომარაგება				
3.11.	უზრუნველყოფილია თუ არა კვების ობიექტში(ბუფეტში) მაგიდებს შორის მანძილი არანაკლებ 2 მეტრისა				
3.12.	დაცულია თუ არა სკამის საზურგეებს შორის მანძილი არანაკლებ 1 მეტრისა				
4	**გამოიყენება თუ არა სასკოლო კვების ობიექტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის „სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციის დამტკიცების თაობაზე“ N410 ბრძანებით მიზანშეწონილად განსაზღვრული აკრძალული პროდუქტები**	კი	არა		
4.1	საღეჭი რეზინი, კანფეტები, შოკოლადი, არომატიზებული წასახემსებლები (მაგ. ჩიფსები, ჟელიბონი და ა.შ.), გარდა თხილეულის, ხილისა და ბოსტნეულისა, რომელთაც აქვთ დამატებული მარილი, შაქარი ან ცხიმი.				
4.2	მაიონეზით შეზავებული პროდუქცია				
4.3	სოკო ნებისმიერი ფორმით				
4.4	დაკონსერვებული პროდუქტები				
4.5	კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი				
4.6	თერმულად დაუმუშავებელი კვერცხი				

შემოწმებაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა		
კვების ობიექტში (ბუფეტში) დასაქმებული პირის ხელმოწერა	ვეთანხმები	არ ვეთანხმები

შენიშვნა (მიუთითეთ კონკრეტული საკითხები და პუნქტები, რასაც არ ეთანხმებით)

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____